# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 32

ხულო, სოფელი ხევანა „01„ „ოქტომბერი" 2013 წელი

ერთის მხრივ სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ.ხევანის საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილის დირექტორის [illegible] ენისე აბაშიძის სახით და მეორეს მხრივ ინდმეწარმე (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მიხეილ ბოლქვაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;
1.3. „შემსყიდველი" ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი" პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს. სკოლისათვის სველი წერტილების მშენებლობის დაპროექტება

### 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულებაა 140 ( ასორმოცი) ლარი
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

### 4. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

4.1. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.

### 5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.
5.2. მომსახურების მიღება-ჩაბარება ხორციელდება ყოველ კვარტალურად, კვარტალის განმავლობაში გაწეული მომსახურების ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
5.3. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენელია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი.

### 6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.
6.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება, ხელშეკრულების მე-5 მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად შედგენილი ანგარიშსწორების დოკუმენტის წარმოდგენიდან 15 დღის ვადაში.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორების დოკუმენტზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.
6.4. ხელშეკრულების ფარგლებში გასაწევი მომსახურების გარკვეული ნაწილის აუცილებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია დარჩენილ თანხაზე.

### 7. გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას.

შემსყიდველი

------------------------------
მიმწოდებელი

12.3. ხელშეკრულების 12.1 მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.
12.4. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს 12.1. მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
12.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

### 13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

### 14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.
14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
14.5. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
14.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.
14.7. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

### 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

### 16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის

სოფელ სხვანის საჯარო სკოლა

ხულო, სოფელი სხვანა

ს/კ 248058293

ბანკის კოდი LIBERTGF 22

ა/ა 34080165

ტელ: 577 15 01 56

დირექტორი: /ჯაბაშიძე/

შემსყიდველი

მიმწოდებელი:
,,ინდ./მეწარმე
მიხეილ ბოლქვაძე
ხულო–სოფელი უჩხო
ს.ს.,, ტაოპრივატ ბანკი''-ს

ს/კ 61009011424
ა.ნ. №GE73TP0036010020008042

ბ/კ CAVOGE22

მიხეილ ბოლქვაძე

მიმწოდებელი